

კავკასიონის კიდურა ზღვის აღმოსავლეთ ფლიშური აუზის მასტრიხტული ნალექების ნამარხი ნაკვალევები

ზურაბ ლებანიძე¹, თამარ ბერიძე², სოფიო ხუციშვილი² და ვალერი ბუჩუკური¹

zurab.lebanidze@tsu.ge

¹გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13;

²აღ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, პოლიტკოვსკაიას ქ. 31

მასტრიხტული ნალექები გავრცელებულია კავკასიონის სამხრული ფერდის ნაოჭა ზონის ჟინვალი-გომბორის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულის ჩრდილო ნაწილში და წარმოდგენილია "საბუეს" წყებით. ა. ცაგარელის (1954), ნ. მრევლიშვილის (1997) მონაცემებით და ჩვენი დაკვირვებით, საკვლევ რაიონში "საბუეს" წყება აგებულია კირქვებით, ქვიშიანი კირქვებით, კარბონატული ქვიშაქვებით, მიკროკონგლომერატებით და ბრექჩიებით. სიმძლავრე 25-200 მ-ია. მასტრიხტული ნალექები, შედგენილობისა და მასალის წყაროს მიხედვით, ხასიათდებიან რა ფლიშისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, ქვედა- და ზედაცარცულ ნალექებთან ერთად შეადგენენ კავკასიონის რკალსუკანა აუზის აღმოსავლეთ ნაწილის (აღმოსავლეთ (ჭიაური-დიბრარის) ფლიშური აუზი) ერთიან კარბონატულ-კლასტურ ფლიშურ ფორმაციას.

მასტრიხტულ ნალექებში ჩვენს მიერ ნამარხი ნაკვალევები დადგენილია მდ. არაგვის (სოფ. ციხისძირის და პავლეურის მიდამოები) და მდ. ხევგრძელის (სოფ. საბუეს მიდამოები) ჭრილებში.

მდ. არაგვის ჭრილებში დადგენილი იქნოკომპლექსი: *Chondrites intricatus* (Brongniart), *Ch.targionii* (Brongniart), *Halopoa imbricata* Torell, *Nereites irregularis* (Schafhäütl), *Nereites* sp., *Ophiomorpha annulata* (Książkiewicz), *Oph. rudis* (Książkiewicz), *Phycosiphon incertum* Fischer-Ooster, *Planolites* sp., *Scolicia strozzii* (Savi & Meneghini), *Trichichnus linearis* Frey, *Zoophycos* isp. - ტიპიურია ტურბიდიტული დეპოზიციური სისტემების დისტალური ნაწილის *Nereites*-ის იქნოფაციის *Nereites* - ის სუბიქნოფაციისთვის.

მდ. ხევგრძელის მასტრიხტულ ნალექებში განსაზღვრული იქნოკომპლექსი: *Alcyonidiopsis* isp., *Chondrites intricatus* (Brongniart), *Ch.targionii* (Brongniart), *Ch. stellata* (Brongniart), *Halimedides* isp., *Ophiomorpha annulata* (Książkiewicz), *Oph. rudis* (Książkiewicz), *Paleodictyon strozzii* Meneghini in Savi & Meneghini, *Planolites* isp, ? "*Rhizocorallium*" *hamatum* (Fisher-Ooster), *Trichichnus linearis* Frey, *Tubulichnum rectum* (Fischer-Ooster, 1858)-ტურბიდიტული დეპოზიციური სისტემების დისტალური ნაწილის *Nereites*-ის იქნოფაციის *Paleodictyon*-ის სუბიქნოფაციისზე მიუთითებს.

სანტონ-მასტრიხტულის ფაციესების და პალეოგეოგრაფიის რუკის (ცაგარელი, 1954, ნახ. 33) მიხედვით გვიანსენონურში ჟინვალი-გომბორის სტრუქტურულ-მორფოლოგიური ერთეულის ჩრდილო ნაწილი წარმოადგენდა ტურბიდიტური ნალექდაგროვების წყალღრმა აუზს, რაც იქნოკომპლექსის შემადგენლობის ანალიზითაც დასტურდება.